# ნაკადული



საყმაწვილო

ჟურნალი

მცირეწლოვანთათვის.



1915 იანვარი. № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

წელიწადი მე-XI. № 2 იანვარი, 1915 წ.



წაიჩხუბნენ.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი:

I—წაიჩხუბნენ,—სურ. . . . . . . 1

II—„ნაკადულის“ მკითხველები: — 1) ანასტასია მაისურაძე,—ახალციხე. 2) თამარ ხუნდაძე,—ოზურგეთი. 3), 4) და 5) ნადია, ლიდია და ვერა ქუთათელაძეები,—ხონი. 6) და 7) ვენერა და ლუარსაბ შუბლაძენი,—თბილისი... . . . . . 3

III—ვედრება,—(ლექსი) შიო მღვიმელისა . . . 4

IV—მეომრები,—(დასასრული) საშა და მაგიტასი . . 6

V—ღათუნას და ტურიკოს ამბავი,—გ. თამროშვილისა . 1'

VI—თრითინა,—(პოლონიურით), დაგ. ელიოზიშვილისა . 15

VII—როგორ გაჩნდა მზე-უქვრიტა,—თარგმანი (დასასრული) იტა ნაკაშიძისა. . . . . , 18

VIII—მკითხველის წერილები . . . . . 21

IX—გასართობი: გულადები, რებუსი და ახსნა . . 22

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1

„ნაკადულის"



მკითხველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვედრება.

(დარიკო ბერძნიშვილს)

ოდეს ძილდი განთიადო,
ძილდი მოუთმენლად გელი,
მზევ, მალე ამობრწყინდი,
მადლიანო რაღას ელი?!

გუშინ ჩიტი ჩემს ფანჯრის წინ
დაფრინავდა, სრიალებდა,
ჭიკჭიკით და გალობითა
სულ მე შემომტრიალებდა.

ბოლოს მინას ფრთა დამიკრა
სამჯერ მკვირცხლად ზედი-ზედა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამცნო, მამცნო რომ ამ დილით
შორის გზიდან მომდის დედა.

ვიცი მოაქვს საახალწლოდ
ბევრი, ბევრი ტკბილეული,
ნაზუქი და შოთი პური
მთვარესავით მილეული,

მაგრამ მე მათ რას დავეძებ,
მშობელს ველი სულით, გულით,
მინდა, მინდა დროზედ დავტკბე
მხოლოდ დედის სიყვარულით.

გადავეჭდო როგორც ვაზი,
ხვართქლისავით ზედ დავეწნა;
განთიადო, თუ გწამს, ღმერთი
ნუღარ გინდა მეტი ხვეწნა.

გული სტის და გული ჩქროლავს
აღარ მინდა დავიძინო,
მზეო, მთელი ქვეყნის დედავ
ბევრი აღარ მალოდინო!..

შიო მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეომრები.

(დასასრული).

მიტო ჩუმად იდგა ერთ ადგილას. წეღან მასაც ძალიან უნდოდა გაესინჯა საყვირის ხმა, მაგრამ ვერ გაბედა: ვანოს გაჯავრების ეშინოდა. ახლაც კარგად ვერ გაეგო, რისთვის ჯავრობდა ვანო. მართლა ხომ არ გაიქცეოდა მტერი. არ იცოდა—რა ეთქვა, და ჩუმად იყო.

— აბა, წავიდეთ,—სთქვა ისევ ვანომ დაბალი ხმით:—იმ დიდ რცხილას ხედავ, იმის უკან თხრილი რომაა,—აი გატეხილი ხიდის მოაჯირიც მოჩანს, იქ არიან თათრები. დიდი ფაშა იქითა ნაპირზეა; ყველაზე დიდია. იმას მე დავეცემი; შენ-კი ამასობაში მის ჯარს შეებრძოლები და სულ ამოვჟლიტოთ.

— კარგი,—უთხრა მიტომ,—მაგრამ თუ უფრო ადრე მივედი ფაშასთან, მე უნდა დავიჭირო?

ვანო ჩაფიქრდა.

— იცი რა? ჩვენ ახლა გავიყარნეთ. შენ მარცხნით წადი, მე მარჯვნით, და ღობესთან შევხვდებით ერთმანეთს. სანამ ფაშასთან მივაღწევდეთ, ბევრი მტერი დაგვხვდება გზაზე ერთად თუ მივედით ფაშასთან, მაინც უნდა დამითმო, როგორც მთავარ-სარდალს.

მიტო დამორჩილდა და დაკუზული გაცოცდა მარცხნით; ვანო-კი მარჯვნით.

სანდროს მოსწყინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა თამაშობაა! თვითონ თამაშობენ, და მე-კი უნდა ვიჯდე, რა ოხრად მინდა ამ ციხის დაცვა,—ჰკრა მან წიხლი ფანჩატურს.

— ისინი იქნება კიდეც მივიდნენ ხიდთან, დააყურა. არაფერი ისმის. ნეტა სად არიან? დაიჭირეს თუ არა დიდი ფაშა. ოჰ, იქ ვყოფილიყავი, არავის დავანებებდი, უჩვენებდი, როგორ უნდა ბრძოლა. მოდი წავალ! ვანო რომ გაჯავრდება? ეჰ, ის მაინც მუდამ მიჯავრდება და სულ ერთია. მაგრამ როგორ დავასწრო, ან საიდან წავიდე, რომ არ დამინახონ, — დაფიქრდა სანდრო და უცებ მოიგონა: მიირბინა ღობესთან, გადახტა მეზობლის ბაღში და რაც მალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. ხიდის პირდაპირ შეჩერდა, ჩახტა ისევ თავის ბაღში და გაეშურა პირდაპირ დიდი ფაშისაკენ. ამ დროს ორი მხრიდან მოესმა ყიჟინა ჭ ტულაშარი…

ვანო და მიტო ცდილობდნენ ერთმანეთისთვის მოესწროთ ფაშის დაჭერა და გაცხარებული ებრძოდნენ მტერს. სანდროს ესმოდა ეს და ხმლით ხელში, გულის ფანცქალით მირბოდა, თუმცა ფაშა მასთან უფრო ახლოს იყო, მაინც ეშინოდა.

— როგორ გაუკვირდებათ, ფაშას რომ მივუყვან, მაშინ ველარ დამიმახსებენ პატარას; ჯარის-კაცობაზედაც უარს ვიტყვი; აფიცრობაც რად მინდა, პირდაპირ მთავარ-სარდალი ვიქნები ყოველთვის, ოღონდ მივასწრო,—ფიქრობდა ის. აჰა, დიდი ფაშაც გამოჩნდა! სანდრომ ერთ ორჯერ მაგრად მოუქნია ხმალი, გაიკაფა გზა, ეცა ორივე ხელებით დიდ ფაშას, გააქან-გამოაქანა, მირიანად ამოგლიჯა და მაღლა ასწია.

ერთი თავისუფლად ამოისუნთქა და გამარჯვებული სახით მიიხედ-მოიხედა.

— არავინ ჩანდა, ცოტა კი ეწყინა სანდროს, რომ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყოჩაღე ვერავინ დაინახა, მაგრამ დიდი ფაშა ხომ ხელში ჰყავდა.

— სად არიან?—გაიფიქრა მან და დაუკრა საყვირი. ხმა არავინ გასცა; ირგვლივ სიჩუმე იყო. შემოდგომის მკრთალი მზე ჩასვლას აპირებდა, გაყვითლებული ფოთლები შრიალებდნენ და ქარის წამობერვაზე ძირს ცვივოდნენ. მიწას სქლად ეფინებოდა ფერად-ფერადი ფოთლები.

სანდრო გააკვირა და შეაკრთო ამ სიჩუმემ. ის აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა ხიდისაკენ. უეცრად მის ფეხის გადადგმაზე გამხმარ ფოთლებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა. სანდრო აჩქარდა, გადირბინა ხიდი და ღობის ძირში დაინახა დაკუზული ვანო და მიტო.



— ფაშა მომყავს, ფაშა. მე თვითონ დავიჭირე!—მიაძახა სანდრომ და სირბილს უმატა. მაგრამ ვანომ და მიტომ არც-კი მოიხედეს,

— რა დაემართათ?—გაუკვირდა კიდევ სანდროს.

მიუახლოვდა, დაიხარა და ვანოს ხელის გულზე გადაწოლილი ჩიტი დაინახა.

— ბეღურა! სად დაიჭირეთ, მიჩვენე,—წასწია მან ხელი და უცებ შენიშნა ბეღურას გულზე სისხლი.

სანდროს შერცხვა, გაწითლდა და თვალები აახამხამა; არც-კი შეუმჩნევია, როგორ გაუვარდა ხელიდან დიდი ფაშა. მან გადახედა ვანოს დ მიტოს დაღვრემილ სახეებს და დაბალი ხმით ჰკითხა მიტოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად იყო?

— აქ ეგდო ღობის ძირში. ვანომ ნახა, მე მერმე მოვე-დი,— უპასუხა მიტომ თავ-აუღებლივ.

— კვდება, დაუმატა მან ცოტა ხანს შემდეგ.

— საწყალი ჩიტუნია!— ფრთხილად გადაუსვა თავზე ხელი სანდრომ.

— ვანო წავიყვანოთ შინ, შეუხვიოთ, იქნება მორჩეს,— ხვეწნით მიმართა მან ვანოს.

— არა, არ ღირს: აღარაფერი ეშველება,— ნაღვლიანად სთქვა ვანომ: — ვინ იცის, რამდენხანს ეგდო აქ. უყურე, როგორ დასუსტებულია! ჩიტუნია, ჩიტუნია,— შეანძრია მან ჩიტის ნისკარტი,— შემომხედე ერთი!



ჩიტმა ოდნავ გაახილა თვალები და ისევ დახუჭა.

— ცოდვაა, თავი დაანებე! — შეაჩერა მიტომ ვანო.

სიჩუმე ჩამოვარდა. სამივე უსიტყვოდ დააშტერდნენ პაწია მომაკვდავს.

ბეღურამ უკლო სუნთქვას, მიწუნარდა, თითქოს დამშვიდდა, ისე გაინაბა; მაგრამ უცებ შეკრთა, გაიზმორა. დაჭყიტა თვალები, თითქოს უნდოდა სამუდამოდ გამოთხოვებოდა ქვეყანას, ერთი მაგრად ამოისუნთქა და სული განუტევა.

ჩამავალმა მზემ უკანასკნელად ამოაშუქა და ერთ წამს სხივები მოჰფინა ბავშვების შეჯგუფებულ თავებს. სანდრო

ნიკაპით დაყრდნობოდა ვანოს მხარს და თვალ-ცრემლიანი უყურებდა ჩიტს. შეწუხებული მიტო გვერდით მიკვროდა ვანოს. თვითონ ვანოც აღარ გავდა ახლა მრისხანე და შეუბრალებელ მთავარ-სარდალს. ეტყობოდა — ამ პაწია ჩიტის ტანჯვამ და სიკვდილმა იგიც ძალიან დაალონ..

**საშა და მაგიტა.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დათუნას და ტურიკოს ამბავი.

(დათუნია მურვანიძის დღიურიდან).



ექვსი წლის დათუნიას მეზობელმა ორი პატარა წიწილა აჩუქა.

უდედოდ დარჩენილიყვნენ გაზაფხულზე, ამიტომ აბუზულიყვნენ, დანარჩენ ქათმებს არ ეკარებოდნენ, თუმცა დათუნიას ზრუნვა არცერთს არ აკლდებოდა.

დილით ადრე, რა წამს საუზმეს გაათავებდა, პურის ნამცეცებს მოაგროვებდა, დაუძახებდა თავის კვირიასა და დობილოს (წიწილების სახელებია) და საუზმეს გაუჩაღებდა. ასევე იქცეოდა სადილსა თუ ვახშმის შემდეგ. დრო მიდიოდა,—წიწილები იზრდებოდნენ.

ერთხელ ზაფხულში, მარიამობისთვის დამდეგს, ახლად დაღამებული იყო; დათუნიას-კი ის იყო დაეძინა, როცა ხმაურობამ გააღვიძა:

— ტურამ კვირია მოიტაცა, კვირია მოიტაცა!

გვიან-ღა იყო. დათუნიამ ვერა უშველა-რა. კვირია ტყისკენ გაამგზავრეს. დობილო დარჩა მარტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი-სამი დღე დათუნია მალიან დაღონებული იყო.— მესამე დღეს მოიხმო სათათბიროდ თავისი უფროსი და თამრო.

— რა ვქნა, გენაცვალე თამრო, ეს დობილოც რომ მომტაცოს იმ წუეულმა ტურამ, რა უყო, რით უჴველო, როგორ გადავარჩინო?!

— შენა, დათუნი, რათა გგონია, ტურიკო მალიან ბოროტი იყვეს. ალბად მალიან ჰშიოდა და შესცდა. მოდი, წერილი მივწეროთ ტურიკოს და ვთხოვოთ—ხელი არ ახლოს დობილოს.



რადგან დათუნამ წერა არ იცოდა, თამრომ დაუწერა წერილი ტურიკოსთან, და მოხუც მეზვრე ზაქროს გაატანეს:

,,ეს წერილი მიერთვას ჩვენი ვენახის ბოლოს ჯაგებში მცხოვრებელ წითელ ტურიკო ქ:თმის—ტაცია შვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურიკო, ამ წერილს მოგიწერ მე—დათუნია ბიჭი—და გთხოვ ძალიან ჩემ წიწილს დობილოს ხელი არ ახლო, შენ მზეს, თორემ გული დამწყდება და დავღონდები. კვირია როცა მომტაცე, გულს სევდა შემომეპარა, ბევრი გემდურე, გავევედრე, მაგრამ არარამ მიშველა. დობილო შენი შიშითა ვეღარ ჰშორდება ეზოსა; რა წამსვე დაისადამებს, მოსძებნის ჩქარა ბინასა.

მექნება დიდი იმედი, ხაირს შემინახავ ძმურადა, ხელს აღარ ახლებ დობილოს, იცოცხლოს თავისუფლადა.

დათუნია ბიჭი.

განთიადზე, როცა ტურიკო ქათმის ტაციაშვილი სოროში უნდა შემძვრალიყო, სოროს პირს ზაქროს მიერ დაგდებულ წერილს თვალი მოჰკრა და სოროში შეიტანა; იქ თავის უფროს ძმას თებოს წააკითხა და პასუხიც იმანვე დააწერინა..

წერილის პასუხი.

თებოს ხელით ეგზავნება დათუნა ბიჭს ტურიკოსგან.

დათუნი, შენი წერილი მივიღე და გავიხარე გულითა. ალბად მეც ქუდი მხურავს და ხალხში ვრევივარ, რადგან შენი პატიოსანი წერილი მივიღე.

,,კვირიას ამბავს ასე ვიტყვი: კვირია ბოლო დროს გადიდკულდა, ჩვენ სოროებთან ფეხებით მიწასა სოხრიდა და კინაღამ სორო დაგვიხშო: ხმა-მაღლა წიოდა და ძილს გვიფრთხობდა; ამიტომ, როცა ამას წინად ჩვენი ტურების სოფელში შიმშილობა ჩამოვარდა, კვირია ბინდზე ფეხში მოგვედო და სოროში ჩავითრიეთ.

დობილო წუნარად იქცევა და სიცოცხლეც არ დაელევა.

მხოლოდ ერთი პირობით: ზაქრო მეზვრეს უთხარი—შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ვენახის ყურძენი ცოტა რამ გვიწილადოს, თორემ შიმშილი ბევრჯელ შეგვარცხვენს ხოლმე. ახლა ყურძენი მწიფდება და შაქრდება.

შენ ამდენი ყურძენი რად გინდა: ღვინოს არა სვამ, პატარა ხარ.

ჩვენც გვიწილადე და დობილოს ვინ შერცხვენილი ხელს ახლებს.

ჩვენი სალამი მიიღე, სიამით მოგვიგონებდე.

ამ წერილს თებოს ვატანთ, ტურების ვვარში ცნობილსა და ამხანაგებში ქებულს; ამაღამ თქვენ ეზოში ამოიტანს, თუ თქვენ მურას გადურჩა.

ტურიკო.

დილით გაალ<sub></sub>ვიძეს დათუნია და ეს წერილი მისცეს: ეზოში მოეტანათო.

წაიკითხა და გაუხარდა.

ზაქროს ბევრი ეხვეწა, ჩემი ვენახიდან ტურიკოსაც უწილადე ხოლმე ყურძენიო.

თხოვნამ გასჭრა: ზაქრომ ვენახის ერთი კუთხე ისე მიაგდო, ტურების სათარეშოდ.

სამაგიეროდ დობილო თავისუფლად დანავარდობს ვენახში და ახლო-მახლო.

დათუნა ტურიკოს დაუმეგობრდა. დობილო მალე დაუვინჩილდება და მისი ყიყლიყო არე-მარეს მოედება!

ვ. თამროშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თ რ ი თ ი ნ ა.

(პოლონურით).



ჩემო მეგობარო, პაწაწინა მკითხველო, მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ ჩემ საიდუმლოებას არ გასცემ და ჩემ შესახებ ცოტა რამეს გიამბობ. ჰა?... მაძლევ სიტყვას? მაშ, ყური დამიგდე. ძალიან ხმა-დაბლაკი ვილაპარაკებ, რომ არავინ გაიგოს.

მაგრამ მოითმინე, აქ ხომ არავინ იმყოფება?

მე თრითინას მეძახიან. ეგებ გაიფიქრო, რომ ეს გოგოს ან ბიჭის სახელია? სრულიადაც არა... ჩვეულებრივი მხეცი ვარ, ტანადობით, როგორც მხედავ, შენი პატარა ციცუნიას ტოლა.

თავის ქებას არ დავიწყებ, მაგრამ, მგონია, შენც დამეთანხმები, რომ მე იმაზე ასჯერ უფრო ლამაზი ვარ. ვაიმე მგონი ვიღაცა მოდის!..

მაგრამ არა, მომეჩვენა.

ვცხოვრობ აგერ იმ თავლის ჭერში... ხომ ხედავ?.. იქ არის ერთი ბნელზე-უბნელესი კუნჭული, სადაც მთელი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ დამალული. დიაღ, ჩემო ძვირფასო, იქ ვზივარ მთელი დღე; თუ ერთი იქიდან გამოვედი ეს საძაგელი ძაღლები ნაკუწ-ნაკუწად მაქცევენ. მაგრამ უნდა გამოგიტყდე და გითხრა, რომ არც ადამიანები არიან მათზე უკეთესი... მათაც ძალიან გაეხარდებათ, თუ ქვეყანას გამომასალმებს, რადგან ჩემი ქათიბი ერთობ მოსწონთ.

მაგრამ მე არც ისეთი სულელი ვარ, რომ მათ დღე დავენახვო. მაშინ ბნელ ღამეს რაღა თავში ვიხლიდი? როგორც კი დაღამდება, გამოვალ ჩემ სოროდან და გავემგზავრები სასეირნოდ...

უპირველესად ყოვლისა სარდაფს ვეწვევი...

არა?.. ძალიან სასიამოვნოა.

ჰო და, გულ-ახდილად უნდა გითხრა, რომ, როგორც მშიერი მგელი, ისე შევვარდები ხოლმე სარდაფში. ფრთხილად გადავხდი სარქვლებს რძის ქილებს და მოვხდი გემრიელ ნაღებს.

ეგები გაიფიქრო, ჩემო ძვირფასო, რომ ნაღებს სულ ერთიანად ვჭამდე? ჰა! შენც არ მომიკვდე! ცოტას ერთ ქილიდან ამოვლოკავ, ცოტას მეორედან, მესამედან... და კმარა.

შემდეგ კვერცხებთან მივიპარები. კბილით ფრთხილად გავხვრეტ ერთ ალაგას და იქიდან გემრიელად ვსვამ მის გულს. ნაჭუჭი მთელი რჩება. შევხვრეტ სამ კვერცხს, და უკვე მაძღარი ვარ. შემდეგ რკინის ფანჯრიდან—სკუპ! სკუპ!—და საქათმეში ამოვყოფ თავს!

მარდად ვტაცებ პირს კისერში ქათამს და იმ წამს დავახრჩობ. როგორც ხედავ, მე არ მიყვარს მსხვერპლის წვალება. ხორცს არ გიახლებით—არ მიყვარს; მხოლოდ თბილი სისხლით ვიკლავ წყურვილს და ტვინს გამოვჭამ ხოლმე. ტვინი, ხომ მოგეხსენება, ერთობ გემრიელია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, მე მგონია, ვიღაც ყურს მიგდებს!

ჩემო ძვირფასო, შეიხედე გეთაყვა, მეორე ოთახში ხომ არავინაა?!.

არავინ არის? აბა, მაშ დავათავებ ჩემ მოთხრობას.

ერთხელ დიდი უსიამოვნობა შემემთხვა შინაურ კურდღლების გამო...

უნდა გითხრა, რომ იმათ ძალიან გემრიელი სისხლი აქვთ, ჭკუა კი ერთი გროშისაც არ გააჩნიათ.

მათზე ნადირობა დრო-გამოშვებით ერთობ მიყვარს.

ერთ მშვენიერს დღეს, მივეპარე ერთს და ის იყო პირი უნდა მეტაცა, რომ ამ დროს საიდანღაც ძაღლი გამოვარდა... გამომეკიდა,— მოჰქრის... მე მოვუსვი რაც ძალი და ღონე მქონდა... ეზო გავირბინე, ბოსტანი და ბუჩქებში შევიმალე.

ძაღლი სუნავს და გამწარებით დამეძებს.

მე შიშისაგან ვკანკალებ და უცდი— ძაღლს ერთობ კარგი ყნოსვა აქვს, ვფიქრობ, ვაი თუ მიპოვნოს... მაგრამ...

ოჰ, ეს რა იყო? თოფის ხმა!.. ვაიმე, მიშველეთ, მიშველეთ სალხნო!..

მივდივარ, მივდივარ!.. კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო! მშვიდობით! კიდევ შეგხვდები როდისმე და მაშინ დავამთავრებ ჩემს მოთხრობას.

მხოლოდ ერთს გევედრები: ნურავის ეტყვი, გეთაყვა, სად ვცხოვრობ...

და საბრალო თრითინა შვილდ-ისარივით გავარდა, მაგრამ სრულიად ტყვილად დაფრთხა. მეორე ოთახში ვიღაცამ სკამი მისწია და იმისი ბრახუნი გაისმა.

დ. ელიოზიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ გაჩნდა მზე-უჭვრიტა.

(დასასრული).

ჩიახ, სხივები მხიარულნი იყვნენ და კიდევაც უნდა ემხიარულნათ თავ-მომწონედ: — იმათ შექმნეს ეს სიცოცხლე, სძლიეს ზამთრის მკაცრი ძალა!

ერთი რამ დაავიწყდათ ნორჩ სხივებს: დაავიწყდათ, რომ არ აიღეს ნებართვა თავისი დიდებული დედისაგან.

გაიგო ეს თუ არა ზამთარმა, მეტად განრისხდა და დაიღრიალა:

— ჯერ არ გათავებულა ჩემი მეფობა! ჯერ კიდევ მე ვარ მბრძანებელი და პატრონი ქვეყნისა! ვინ გაბედა ჩემ სიკვდილამდე ჩემი თოვლის ზეწრის გადნობა, ვინ გაალღვიძა ჩემი საბნის ქვეშ დედამიწა? როგორ გაბედეთ მისი უდროოდ გაცოცხლება! ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ! ვნახოთ, გიჩვენებთ თქვენ არამზადა სხივებო, ჩემს ძალას!

სთქვა თუ არა ეს ზამთარმა, მოიკრიფა ძალღონე, მიუახლოვდა აყვავებულ ადგილს, რამდენჯერმე დაჰბერა საშინელი სუსხით ლამაზ ყვავილებს. საწყლებმა ჩაჰქინდრეს იავი და დასჭკნენ.

გაანძრია ზამთარმა ჭაღარა თავი და დააყარა მინდორს თოვლის ფიფქები. მშვენიერად აჰიბინებული მინდორი უეცრად მკვდარ სასაფლაოდ გადაიქცა. დაიმარხნენ ცოცხლად ბალახი და ყვავილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა-კი მიხვდნენ სხივები, თუ როგორ შესცდნენ; ახლა-კი გაიგეს რატომ არ აძლევდა მშობელი მზე ნებას, რომ უდროოდ შესდგომოდნენ საქმეს.

მიხვდნენ და დაღონდნენ. რა უნდა ექნათ? შეუძლებელი იყო შეცდომის გასწორება: იცოდნენ პატარა გმირებმა, რომ მკვდარი არ გაუცოცხლდებოდათ.

გაიგო ეს ამბავი მზემ და მოუწოდა თავის ურჩ შვილებს. აკანკალებული სხივები წარსდგნენ დიდებულ მშობლის წინაშე. სიბრალულით უცქეროდნენ მათ უფროსი და-ძმანი, დიდებულ მბრძანებლის ოქროს ტახტის ირგვლივ ბრწყინვალედ ჩამწკრივებულნი.

— ჩემო საბრალო. შვილებო! — ცოტახნის სიჩუმის შემდეგ წარმოსთქვა მშობელმა მზემ: — თქვენ ჩაიდინეთ დიდი დანაშაული, ჩემ დაუკითხავად ჩემი სურვილის წინააღმდეგ შეიჭერით ზამთრის სამეფოში, გაადნეთ მისი საბანი, რომლის ქვეშ ჯერ კიდევ ეძინა დედამიწას, უდროოდ გააღვიძეთ იგი, მრავალი პატარა ყვავილები და ბალახები აღმოაცენეთ! რა მოჰყვა თქვენ მუშაობას, საბრალო მუშაკნო? ზამთრის გაბრაზება და უდანაშაულო მცენარეების დაღუპვა. ვინ არის დამნაშავე მათ სიკვდილში? თქვენ, ჩემო ურჩო, საწყალო შვილებო! თქვენ არ მოუცადეთ ჩემ ბრძანებას, არ მოუცადეთ იმ დროს, რომ ძმებთან ერთად დაგეწყოთ, ნაყოფიერი მუშაობა! თქვენი წყალობით მრავალი ნორჩი სიცოცხლე მოისპო! თქვენ ხართ სასჯელის ღირსნი და სასტიკად დაისჯებით ურჩობისათვის. დღეიდან გაძევებულნი იქნებით ჩემ ზეციურ სამფლობელოდან; წადით, ჩაეშვით დედამიწის გულში.

სხივები ჩაეშვნენ ბნელ დედამიწის გულში. დიდხანს იყვნენ იქ საბრალონი, დიდხანს წვალობდნენ და იტანჯებოდნენ სიბნელეში, სინათლეს ჩვეულნი. გავიდა დრო და ჟამი ტანჯვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ბოლოს უფროსი ძმები მუხლ-მოდრეკილნი მივიდნენ დედასთან და სთხოვეს შეებრალა დამნაშავე შვილები.

იტანჯებოდა დედის გული შვილების ცოდვით; შეიწყნარა უფროსი შვილების თხოვნა და ნება მისცა დასჯილებს ამოსულიყვნენ დედამიწის გულიდან ზედაპირზე.

მაგრამ სრული პატიება მაინც ვერ მიიღეს, ვეღარ დაუბრუნდნენ სამშობლო ცის სივრცეს, მხოლოდ ნება მიეცათ ერთ მცენარეს გულში ეცხოვრათ. რადგანაც დასჯილი სხივები მაინც დიდებული მზის შვილები იყვნენ, ამიტომ იმ მცენარის ყვავილს, სადაც სხივები დაბინავდნენ, მშობელი მზის სახე მიეცა —მრგვალი, ყვითელი. წვრილი ფოთლები ოქროს სხივებსავით ახვევია ამ ყვავილს. ამ მცენარეს ხალხმა „მზე-უჭვრიტა“ დაარქვა.

რათ უმახიან ეგრე? მშობელ მზესთან დარჩენილი სხივები მუდამ თავის დასჯილ ძმებზე ფიქრობენ, მუდამ ჰკოცნიან იმათ, ეალერსებიან, ათბობენ; დასჯილნიც ამ ალერსით ცოცხლობენ და ხარობენ, სამუდამოდ განშორებულები სამშობლოსა და თავის მშობელს.

გამოჩნდება თუ არა ბრწყინვალე მზე ცის ტატნობზე, მცენარე თავს მისკენ გადახრის, ხარბად ეწაფება მის სითბოს და შუქს, თვალს ადევნებს ცაზე მზის დიდებულ მიმოსვლას.

როცა მზე დაიმალება, ყვავილიც თავს დახრის და გულის ფანცქალით ელოდება გათენებას, ახალ დღეს, თავისი საყვარელი დედის ამობრძანებას და თავისი ერთგული ძმების ალერსს.

საითაც მზე გადიხრება —იქით გადიხრება ყვავილიც, ამისათვის იმ მცენარეს ეწოდა სახელად „მზე-უჭვრიტა!“

იტა ნაკაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ჩაგვწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების წევრად. ჰირობას ვდებთ, რომ ყველა ღონის ძიებას ვიხმართ ფრინველთა დასაცველად.

თელავის სამინისტრო სკოლის მეორე განყოფილების მოწაფეები: ვარო ლუარსაბაშვილი, სარა ტროყაშვილი, მარია არუთინოვი, ბაბალე თეგაშვილი, კატო ბახსოლიანი, მარგო მოსიშვილი, ქენია ოქროპირიძე, დარია გაუარაშვილი, ანნა სარალიძე, ნინო ლაჩაშვილი, ნინო სეხნიაშვილი, ანნა მირიანაშვილი, ნინო სირაძე, ნინო თუშიშვილი, გრიშა ჩარბაძე, არჩილ მაისურაძე. ბარბარე ჩახტაუროვი, ვასილ აბზიანიძე, სიდო ალნიაშვილი, ანნა ბაბუნიძე, თინათინა ბოძაშვილი.

ქ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენც ჩაგვწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოებაში; იმედი გვაქვს რომ შევძლებთ ჰირობის ასრულებას, რადგანაც ფრინველები ძალიან გვიყვარს.

ნიკო ძიძიშვილი, ბენია რამიშვილი, ფაინა კილაძე, სანდრო კილაძე, თამარა კახელაძე, ელენე ასათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# გულადები!

ახლა ჩვენში რომ ზამთარია და ცივა, აფრიკაში კაშკაშა ზაფხულია. იქაური ხალხი შავია. ზანგებს ეძახიან...

პატარა ზანგმა მთელი დღე გარეთ ითამაშა, დაიცხა. მზის ცხელი სხივები მწარედ კბენდა. იფიქრა: „წავალ, მდინარეში ვიბანებ და გავგრილდებიო!“

სთქვა ეს თუ არა, დაიძახა:

— ამხანაგებო! ცხელა, წავიდეთ ვიბანაოთ და გავგრილდებით!

მოირბინა სამმა ცუგრუმელა ზანგმა.

— იცით, რა გითხრათ, ბიჭებო: გავიქცეთ ვიბანაოთ და გავგრილდებით.



— გავიქცეთ, გავიქცეთ, — დაიძახეს ზანგებმა, ჩასჭიდეს ერთმანერთს ხელები და მდინარისკენ გაიქცნენ... ხედავენ, შორს, მდინარის მეორე პირას, თავი მოუყრიათ სპილოებს,

მარტორქებს და ესენიც ამათსავით მდინარისკენ მიეშურებიან.

ქუდიანი ზანგი შეკრთა და დაიძახა.

— მეშინიან. მე წყალში ვერ ჩამოვალ, შიგ დიდი ნიანგები იცის და შემჭამს; არა, არა, მე ვერ ჩამოვალ! აგერ, უყურეთ შორს, სპილოები და მარტორქები ჩადიან წყალში, შეიძლება აქაც იყვნენ მხეცები‘‘...

ბიჭები შეკრთნენ, შედგნენ, იფიქრეს: ,,იქნება, მართლა, რამე იყოს წყალშიო‘‘...

— მშიშარა, მშიშარა!—დაიძახა წინამძღოლმა.—მე არაფრისა არ მეშინიან, მომყევით, ნუ გეშინიანთ, ამხანაგებო!...

სთქვა ეს თუ არა, მიირბინა მდინარესთან და ჩაყო ფეხი წყალში, რომ გასინჯოს, ღრმა არის თუ არაო.



წინამძღოლს ფეხი ჯერ არც-კი ჩაეყო წყალში, რომ უეცრად ერთ-საჟენიანი ჯირკი დაინახა, თავსზარი ეცა, ნიანგი ეგონა და დაიღრიალა:

— ნიანგი! ნიანგი! თავს უშველეთო!

პატარა ზანგები მოტრიალდნენ და შინისკენ მოჰკურცხლეს...

# რებუსი.




თბილისი

1-ლ № ში მოთავსებულ შარადის და რებუსის ახსნა

1—ჭაურკითხე ,,ნაკადული'' დედა, ხარობს სული, გული!

2—[illegible] ვარ გა[illegible]ხდები გავახარებ დედასაო.

რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Открыта подписка на 1915 годъ

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

## „КАВКАЗСКОЕ СЛОВО“

Адресъ редакціи и конторы: Тифлисъ, Барятинская 6.

| Подписная цѣна на газету: | для городскихъ подписчиковъ | для иногороднихъ. |
|---|---|---|
| на 1 годъ . . . | 7 р. — к. . . | 8 р. 50 к. |
| на 6 мѣс. . . . | 4 „ — „ . . | 5 „ — „ |
| на 3 мѣс. . . . | 2 „ — „ . . | 2 „ 50 „ |
| на 1 мѣс. . . . | — „ 80 „ . . | 1 „ — „ |

Допускается разсрочка подписной платы лишь для годовыхъ подписчиковъ, при условіи непосредственнаго обращенія въ контору газеты.

Пользующіеся разсрочкой уплачиваютъ: городскіе подписчики—при подпискѣ—3 р., къ 1 марта—2 р. и къ 1 мая—2 р.; иногородніе—при подпискѣ—4 р. 50 коп., къ 1 марта—2 р. и къ 1 мая—2 р.

Сельскимъ учителямъ, сельскимъ священникамъ, рабочимъ, мастеровымъ и фельдшерамъ предоставляется скидка въ 10% съ подписной платы.

Книжнымъ магазинамъ и кіоскамъ, принимающимъ подписку—5% скидки.

Годовые подписчики, подписавшіеся въ **декабрѣ** текущаго года и внесшіе полностью годовую плату за 1915 г. получаютъ газету съ 15 декабря **безплатно**.

**Плата за объявленія**—за строку **петита**: для мѣстныхъ объявленій—до текста—12 коп., послѣ текста—6 коп., для иногороднихъ объявленій—25 коп. и 12 коп. За многократныя объявленія **скидка**.

Редакторъ: **Ю. Ф. Семеновъ**.

Издатель: **Тифлисское Т-во Печатнаго Дѣла**.

# 1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

✦ ყოველთვიური გამოცემა ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

**36** სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1915 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: **დასურათებული „ხალხური ზღაპრები“** - (საშეგრელოში შეკრებილი) იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარეთ: ერთი წლით **7** მ. ნახევარი წლით **4** მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელი—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნა.

## ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან და კ. თელიასთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ნინო გელაშვილთან. **გორში**—ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში** — ივანე გომელაურთან: **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**